ოქმი:**ო02. 3723037001**

თარიღი:**06/02/2023**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 6 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი. ნ. ჭანიშვილი, ნ. ურუშაძე, ალ. ბურჭულაძე, დ. ჭაკნელიძე, ვ. ნიჟარაძე, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

2. .ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ს. დვაბზუს ადმინისტარაციულ ერთეუში მდებარე ქუჩისათვის „ალექსანდრე ღლონტის ქუჩა“ სახელის მინიჭების შესახებ“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 მაისის განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

5.ქ. ოზურგეთში გამსახურდიას მოედანთან საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

მომხსენებელმა, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგში წარმოდგენილი N1 საკითხი, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს ასევე გააცნო N2 საკითხი, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით. მანვე კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 2022 წელში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კომისიის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში, კომისიის წევრებმა მოიწონეს ანგარიში და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი საკრებულოს სხდომაზე წარდგენა.

კომისიის წევრებმა ასევე მხარი დაუჭირეს N5 საკითხის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ხუთივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი